



დამოუკიდებელი ინსპექტორის
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი

2023 წლის 4 მაისი

დისციპლინური საქმე №79/23
მოსამართლე --- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2023 წლის 18 აპრილის №79 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75⁵ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75⁶ მუხლის შესაბამისად, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე --- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის 2023 წლის 18 აპრილის №236/79-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია.

1. საჩივრის ავტორის მიერ მითითებული ფაქტები:

საჩივრის ავტორი სადავოდ ხდის 2023 წლის 4, 6 და 12 აპრილის განჩინებების კანონიერებას. კერძოდ:

1. აცხადებს, რომ 12 აპრილის განჩინების არც ერთი პუნქტი არ ემსახურება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას, რადგან საქმე შეეხებოდა დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნასთან დაკავშირებული კრების ოქმების ბათილობას და თანამდებობაზე აღდგენას.
2. ამასთან, უთითებს, რომ მოსამართლე აღნიშნულ განჩინებებს ისეთი სისწრაფით იღებს გასაკვირია, რადგან განცხადებების განხილვა და მხარისათვის გადაცემა არასდროს ხდება იმავე დღეს.

2. საჩივრის საფუძველიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2021 წლის 19 აგვისტოს --- -- სარჩელით მიმართა --- საქალაქო სასამართლოს, მოპასუხეების --- -- --, --- -- -- და --- -- მიმართ პარტნიორთა კრების ოქმის ბათილად ცნობის, გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის და დირექტორის პოზიციაზე აღდგენის მოთხოვნით. 2021 წლის 15 სექტემბერს მოპასუხებმა შესაგებელი წარადგინეს სასამართლოში.

სასამართლო სხდომები გაიმართა 12.10.2021; 25.11.2021; 27.01.2022; 01.02.2022 წწ პერიოდებში. 2022 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილებით --- -- სარჩელი დაკმაყოფილდა.

2022 წლის 4 თებერვალს მოსარჩელის წარმომადგენელმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს გადაწყვეტილების დაუყოვნებლის აღსრულების მოთხოვნით. 2022 წლის 21 თებერვლის განჩინებით მოსარჩელის წარმომადგენლის შუამდგომლობა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესახებ არ დაკმაყოფილდა.

2.2. 2022 წლის 7 მარტს მოსარჩელის წარმომადგენელმა კერძო საჩივარი წარადგინა სასამართლოში 2022 წლის 21 თებერვლის განჩინების გაუქმების მოთხოვნით. 2022 წლის 9 მარტს კერძო საჩივრის განხილვის მიზნით საქმე გადაიგზავნა სააპელაციო სასამართლოში.

2022 წლის 14 მარტს მოპასუხეებმა სააპელაციო საჩივარი წარადგინეს სასამართლოში. 2022 წლის 15 მარტს გაიგზავნა სააპელაციო საჩივრები -- სააპელაციო სასამართლოში. 2022 წლის 22 მარტის განჩინებებით სააპელაციო საჩივრები წარმოებაში იქნა მიღებული.

2022 წლის 5 მაისის განჩინებით -- -- კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლოში სხდომები გაიმართა 29.06.2022; 20.07.2022; 12.10.2022; 03.11.2022; 07.12.2022; 25.01.2023; 16.02.2023 წწ პერიოდებში. 2023 წლის 16 თებერვლის განჩინებით -- --, -- --, -- -- და -- -- სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა.

2023 წლის 15 თებერვალს -- -- განცხადებით მიმართა სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის თაობაზე. 2023 წლის 16 მარტის განჩინებით -- -- განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2023 წლის 31 მარტს -- სააპელაციო სასამართლოს განცხადებით მიმართა -- -- გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის თაობაზე.

2023 წლის 4 აპრილის განჩინებით -- -- განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; აეკრძალა -- -- დირექტორს -- -- კომპანიის 50% წილის მფლობელი პარტნიორის - -- -- თანხმობის გარეშე საზოგადოების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვა; აეკრძალა -- -- დირექტორს -- -- კომპანიის 50% წილის მფლობელი პარტნიორის - -- -- თანხმობის გარეშე საზოგადოების სახელით გარიგების დადება, რომლის ღირებულებაც აღემატება - - ლარს; აეკრძალა -- -- დირექტორს -- -- კომპანიის 50% წილის მფლობელი პარტნიორის - -- -- თანხმობის გარეშე საზოგადოების საბანკო ანგარიშებიდან თანხის განაღდება ან/და გადარიცხვა თუ გასანაღდებელი ან/და გადასარიცხი თანხა აღემატება დღიურად -- ლარს, გარდა კომუნალური გადასახადების, ბიუჯეტის სასარგებლოდ გადასახდელი გადასახადების და კომპანიის თანამშრომლებისთვის ხელფასის სახით გასაცემი გადასახადებისა; განმცხადებელს განემარტა, რომ თუ გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგება, მაშინ ის მხარე, რომლის სასარგებლოდაც მოხდა უზრუნველყოფა, ვალდებულია აუნაზღაუროს მეორე მხარეს ზარალი, რომელიც მას მიადგა სარჩელის უზრუნველსაყოფად გამოყენებული ღონისძიების შედეგად; განჩინება მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად; განჩინებაზე შეიძლება საჩივრის წარდგენა თბილისის სააპელაციო სასამართლოში 5 დღის განმავლობაში განჩინების ასლის გადაცემის მომენტიდან.

2023 წლის 6 აპრილს სასამართლოს განცხადებით მიმართა -- -- გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის თაობაზე. 2023 წლის 6 აპრილის განჩინებით განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა: საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალა -- -- დირექტორის ცვლილების რეგისტრაცია; საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალა -- -- დირექტორის ცვლილების რეგისტრაცია.

2023 წლის 10 აპრილს სასამართლოს შუამდგომლობა/საჩივრით მიმართა -- -- და -- -- წარმომადგენელმა და მოითხოვა სააპელაციო პალატის 2023 წლის 4 და 6 აპრილის განჩინებების აღსრულების შეჩერება. 2023 წლის 11 აპრილის განჩინებით -- -- და -- -- განცხადებები -- სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 4 და 6 აპრილის განჩინებების აღსრულების შეჩერების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

2023 წლის 12 აპრილს სასამართლოს განცხადებით მიმართა -- -- გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის თაობაზე. 2023 წლის 12 აპრილის განჩინებით განცხადება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფის თაობაზე დაკმაყოფილდა: საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში -- -- წესდების, სადამფუძნებლო შეთანხმების და სხვა რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია განხორციელდეს მხოლოდ -- -- თანხმობით; საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში -- -- წესდების, სადამფუძნებლო შეთანხმების და სხვა რეგისტრირებული მონაცემების ცვლილების რეგისტრაცია განხორციელდეს მხოლოდ -- -- თანხმობით.

2023 წლის 13 აპრილს სასამართლოს შუამდგომლობა/საჩივრით მიმართა -- -- და -- -- წარმომადგენელმა და მოითხოვა სააპელაციო პალატის 2023 წლის 12 აპრილის განჩინებების აღსრულების შეჩერება. 2023 წლის 13 აპრილის განჩინებით -- -- და -- -- განცხადებები -- სააპელაციო სასამართლოს 2023 წლის 12 აპრილის განჩინებების აღსრულების შეჩერების თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც წარმოდგენილია „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹ მუხლის მე-8 პუნქტში.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია სასამართლოს დამოუკიდებლობა. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, მართლმსაჯულებას ახორციელებენ სასამართლოები, 62-ე მუხლის მე-2 პუნქტი კი განსაზღვრავს, რომ მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის და შეცვლის უფლებამოსილება ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს კომპეტენციას წარმოადგენს. საქართველოს კონსტიტუციის 63-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე ემორჩილება მხოლოდ კონსტიტუციას და კანონს და არავის აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე.

სწორედ სასამართლოს დამოუკიდებლობის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ადგენს, რომ „მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შეიძლება იყოს გადასინჯვის საგანი, გარდა გასაჩივრების ტრადიციული პროცედურისა“ (ალექსანდრე ვოლკოვი უკრაინის წინააღმდეგ §80). გასაჩივრების უფლების რეალიზაციის მიზნით, მხარეებს მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის თანახმად, შესაძლებლობა აქვთ მიმართონ ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს. შესაბამისად, დისციპლინური სამართალწარმოების ჭრილში, დამოუკიდებელი ინსპექტორი ვერ იმსჯელებს მოსამართლის მიერ მიღებული განჩინება/გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ვინაიდან დამოუკიდებელი ინსპექტორის სამსახური არ წარმოადგენს სასამართლოს ზემდგომ ინსტანციას, რომელსაც შეუძლია გააუქმოს/შეცვალოს გადაწყვეტილება. აღნიშნული პრინციპების დასაცავად, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტი

განსაზღვრავს, რომ დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატა 2016 წლის 21 ივლისის №დს-შ/9-16 გადაწყვეტილებაში განმარტავს, რომ „კანონიერების პრინციპი კანონის უზენაესობას ეფუძნება. ეს კონსტიტუციური პრინციპია, რომლის თანახმად, არავის არ აქვს უფლება კანონმდებლობის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება.“

მოცემულ შემთხვევაში კანონიერებაზე ზედამხედველობის აკრძალვა გულისხმობს მოსამართლის მიერ კანონის განმარტების, მტკიცებულებების შეფასების, აგრეთვე, ფაქტობრივი და სამართლებრივი დასკვნების შეფასების დაუშვებლობას. აღნიშნული ფართო გაგებით, ჰიპოთეტურად, კონკრეტული დისციპლინური გადაცდომის სახისა და ელემენტების გათვალისწინებით, შეიძლება მოიცავდეს მოსამართლის მიერ მიღებული აქტების შესწავლასაც. თავის მხრივ, იმის შემოწმება, ხომ არ ჩაიდინა მოსამართლემ დისციპლინური გადაცდომა წარმოადგენს მოსამართლის ქმედების კანონიერების შემოწმებას. თუმცა, საჩივარში მითითებული გარემოება, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებისა და განჩინების კანონიერების საკითხის შეფასებას, სცილდება დამოუკიდებელი ინსპექტორის კომპეტენციის ფარგლებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 271-ე მუხლის მიხედვით, სასამართლოს შეუძლია უზრუნველყოს იმ გადაწყვეტილების აღსრულება, რომელიც გადაცემული არ არის დაუყოვნებლივ აღსასრულებლად XXIII თავით დადგენილი წესების შესაბამისად. ამავე კოდექსის 372-ე მუხლის მიხედვით, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.

ამდენად, განჩინებების მიღებისას მოსამართლემ იხელმძღვანელა საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, საჩივრის ავტორის მოთხოვნა, რომელიც შეეხება მოსამართლის მიერ შინაგანი რწმენის საფუძველზე, მტკიცებულებათა შეფასების შედეგად გამოტანილი განჩინებების კანონიერების შემოწმებას არ შეიძლება განხილულ იქნეს დისციპლინურ გადაცდომად.

კანონით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ნიშნების არარსებობისას, დამოუკიდებელი ინსპექტორი არ არის უფლებამოსილი შეაფასოს მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილების/განჩინების კანონიერება, რადგან არ წარმოადგენს მართლმსაჯულების განმახორციელებელ ორგანოს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანონიერების შემოწმების მიზნით დისციპლინური სამართალწარმოების განხორციელება შეუძლებელია.

პრეტენზიასთან დაკავშირებით, რომ 12.04.2023 წლის განჩინების არც ერთი პუნქრი არ ემსახურება გადაწყვეტილების აღსრულების უზრუნველყოფას, უნდა აღინიშნოს, რომ როგორც საქმის მასალებიდან დგინდება, საჩივრის ავტორს 2023 წლის 12 აპრილის განჩინების სარეზოლუციო ნაწილის ნაცვლად -- საქალაქო სასამართლოს 2022 წლის 1 თებერვლის გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი აქვს მითითებული საჩივარში, რომელიც ბუნებრივია სხვა შინაარსისაა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 193-ე მუხლის მიხედვით, განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტს ამ სარჩელის განმხილველი სასამართლო განცხადების შეტანიდან ერთი დღის ვადაში, მოპასუხისთვის შეუტყობინებლად. ამავე კოდექსის 194-ე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ სასამართლო განჩინების გასაჩივრების ვადა შეადგენს 5 დღეს. ამ ვადის გაგრძელება არ შეიძლება და მისი დენა იწყება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განჩინების მოპასუხისთვის გადაცემის მომენტიდან.

შესაბამისად, საჩივრის ავტორის პრეტენზიაზე განჩინებების სწრაფად მიღებასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლემ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილ ვადებში განიხილა განცხადება/შუამდგომლობები. ამდენად, ბუნებრივია, მოსამართლის მიერ განცხადების გონივრულ ვადაში განხილვა, ვერ განიხილება დისციპლინურ გადაცდომად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დამოუკიდებელი ინსპექტორი იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ საჩივარი ეხება მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დამოუკიდებელმა ინსპექტორმა იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75¹⁰ მუხლის მე-5 პუნქტით, 75¹² მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

შეწყდეს --- 2023 წლის 18 აპრილის №79 საჩივრის საფუძველზე მოსამართლე --- მიმართ მიმდინარე დისციპლინური სამართალწარმოება.

ზურაბ აზნაურაშვილი
დამოუკიდებელი ინსპექტორი